საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

"დინამო" (თბილისი) – ტორპედო (მოსკოვი) 1:1 (0:0)

თბილისი ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 21 ივლისი.

"დინამო": გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (ფანცულაია, 56 წ.), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა (დარასელია, 27), გოგიჩაიშვილი.

"ტორპედო" სარიჩევი, სოლოვიოვი, მაკეევი (კალაიჩევი, 46), უკოვი, როგოვსკოი, გრეჩნევი, იავიჩევი, რუდაკოვი, ნ. სავიჩევი, გრიშინი, აგაშკოვი.

მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარილა).

თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" ფეხბურთელთა შეხვედრების მეტად საინტერესო ისტორია საკავშირო ჩემპიონატები თუ თასზე, გულშემატკივარმა კარგად იცის, ეს გუნდები ერთმანეთთან მუდამ უმაღლეს დონეზე თამაშობენ, შეუპოვრად, დაძაბულად, ზოგიერთი ამ შეხვედრათაგანი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ფეხბურთის ისტერიაში.

წლევანდელ გათამაშებაში მეტოქეები ერთობ განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ტორპედოელებს სატურნირო ცხრილის მესამე ადგილი უკავიათ, ე. ი. გუნდი ნორმაშია, თბილისის "დინამო" კი ჯერ კიდევ ცხრილის შუაგულში მოხვედრისთვის იბრძვის, მათი ეს თამაშიც არც ძველებური დაძაბულობით და არც საინტერესო ბრძოლით არ გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ დასაწყისში თბილისელებმა შუა მინდორზე დაიწყეს ერთის ხანგრძლივი გათამაშება, მათ სტუმრებმაც მიბაძეს და კარგა ხნის განმავლობაში მინდორზე რამდენადმე მაინც საყურადღებო არაფერი მომხდარა. მხოლოდ შუა ტაიმში გადავიდნენ თბილისელები შეტევაზე, ჯერ კაჭარავამ ვერ გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა და თავით ააცილა ბურთი მიზანს, შემდეგ სვანაძემ დაარტყა უზუსტოდ იმატა დარღვევებმა, საჯარიმოები უმეტესად ტორპედოელთა მხარეს ინიშნებოდა.

ასეთი შენელებულ ტემპში მიმდინარეობდა თამაში მეორე, ტაიმში, ბრძოლა მხოლოდ აქა–იქ, ეპიზოდურად თუ გამწვავდებოდა, ყველაფერი ეს აშკარად არ შეესაბამებოდა ამ ორი გუნდის ტრადიციულ საბრძოლო შეხვედრათა მაღალ რანგს.

მიმდინარეობდა 67–ე წუთი, როცა გოგიჩაიშვილი სწრაფი დრიბლინგით გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, გასცდა მეტოქეთა რამდენიმე მცველს, გადააწოდა ცენტრში და ქეცბაიამ ბოლო წამს მიუსწრო ბურთს – 1:0.

ორიოდე წუთიც არ იყო გასული, როცა ტორპედოელებმა ასევე მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს, მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს, მარცხენა ფლანგზე იერიშში ჩაება ი. სავიჩევი და გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

დარჩენილი 20 წუთის განმავლობაში მნიშვნელოვანი კვლავ არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ გაბელიამ მოიგერია რუდაკოვის უძლიერესი დარტყმა და მატჩიც ფრედ დამთავრდა.

* * *

საკავშირო ჩემპიონატის მე–18 ტურის ბოლო მატჩი გუშინ შედგა მოსკოვში, სპარტაკელებმა მიიღეს ვოლგოგრადის "როტორი". გაიმარჯვეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა– 1:0.

"ლელო" 23 ივლისი 1989 წ.